საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
საგადასახადო დეპარტამენტის
ქ.თბილისის
საგადასახადო ინსპექცია

ქ. თბილისი

6 ივნისი 2006წ
(რიცხვი, თვე, წელი)

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №2290/006-5ა/4-580-72

შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ს სამეწარმეო რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ" 56 მუხლის „ცვლილებების და ლიკვიდაციის რეგისტრაცია" და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 10 აგვისტოს №127 დადგენილების მე-6 მუხლის შესაბამისად

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

განხორციელდეს ცვლილება შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ს სამეწარმეო რეგისტრაციის მონაცემებში, რომელიც რეგისტრირებულია თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ 27.08.1996წ., რეგისტრაციის № 5ა/4-580.

გატარდეს სამეწარმეო რეესტრში ცვლილების შემდეგი მონაცემები, კერძოდ:

საზოგადოების დამფუძნებელმა პარტნიორმა ქიბარ ხალვაშმა კუთნილი წილი 60%-დან 22% საზოგადოების საწესდებო კაპიტალში გაასხვისა შპს "საქცემენტზე".

1) შპს "საქცემენტი" (რეგისტრირებული თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 მაისის დადგენილებით რეგისტრაციის №36/4-113) – მისი წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში განისაზღვრება 22%-ით, თანხით 440 ლარი.

2) ქაბარ ხალვაში, დაბადებული 20.05.1963 წელს ქობულეთში, მცხოვრები ქ.თბილისი, აბაშიძის ქ. №19, პირადი №6100200543, პ/მ №გ 0333837, გაც. 21.06.2002წ. თბილისის ვაკე-საბურთალოს შსს საპასპორტო განყოფილების მიერ, პროფესიით ინჟინერი – მისი წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში განისაზღვრება 38%-ით, თანხით 760 ლარი.

3) შპს "პანორამა" (რეგისტრირებული ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 21 ივნისის დადგენილებით რეგისტრაციის №5ა/4-4009) – მისი წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში განისაზღვრება 40%-ით, თანხით 800 ლარი.

საფუძველი: დამფუძნებელი პარტნიორების კრების ოქმი 26.12.2005 წ. და წილის ნასყიდობის ხელშეკრულება: 26.12.2005 წ.

დაევალოს საგადასახადო ინსპექციის მომსახურების სამმართველოს უფროსს უზრუნველყოს შესაბამისი ცვლილების მონაცემების სამეწარმეო რეესტრში შეტანა და გაიცეს საწარმოზე სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი ცვლილების შეტანის შესახებ.

ინსპექციის უფროსი
(მოადგილე, უფლებამოსილი პირი) (ხელმოწერა)

შემსრულებელი: ი. ხარძეიშვილი